რჩებოდა ერთი წუთი…

“არარატი” (ერევანი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (1:0).

ერევანი. “რაზდანის” სტადიონი. 17 აპრილი.

“არარატი”: თათევოსიანი, ვართაზარიანი, ქეროფიანი, აშ. ხაჩატრიანი, მოვსესიანი, პოღოსიანი, ბონდარენკო, ჰოვანესიანი, ღასაბოღლიანი (ან. ხაჩტრიანი), მელიქიანი, გალსტიანი.

“დინამო” გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, სულაქველიძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (კაკილაშვილი), გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე (შენგელია).

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია ქეროფიანი.

წინადღით, დუბლიორთა შეხვედრისას, “არარატის” უფროსმა მწვრთნელმა ი. ბეცამ (იგი ჟურნალისტებთან ერთდ ადევნებდა თვალს თამაშს) უკმაყოფილოდ წარმოთქვა: “თუ ჩვენი ნახევარმცველები ხვალაც ასე ითამაშებენ, ჯობს წინასწარვე მოვაწეროთ ხელი წაგებას!”.

ერევნელ ფეხბურთელთა ხელმძღვანელის შიში არ გამართლდა – “არარატის” შუა ხაზის მოთამაშეებმა, რომელთაგან, ჩვენი აზრით, საუკეთესო იყო გუნდის კაპიტანი ჰოვანესიანი (და არა მარტო ნახევარმცველებს შორის) დაჯაბნეს დინამოელთა სამეული. მართალია, მ. მაჩაიძე, როგორც ყოველთვის, ცდილობდა თამაშის აწყობას და კოლექტიური ბრძოლის ნაპერწკლის გაღვივებას, მაგრამ პარტნიორები მას მხარს ვერ უბამდნენ. ამ დღეს ნაკლებად მოძრავი იყო დარასელია, რაც შეხება კოპალეიშვილს, იგი მხოლოდ მატჩის მე–40 წუთზე “გამოჩნდა”, როდესაც მისთვის ჩვეული უძლიერესი დარტყმით შორიდან გაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარისკენ. მეკარე თათევოსიანმა იგი ძელს მაღლა მოიგერია გაჭირვებით.

…მატჩის წინა “პროგნოზები” ერევნელთა სასარგებლოდ იყო. 2:1, 2:0, 2:2. სხვათ შორის, ასეთი მინაწერები ამოვიკითხეთ ადგილობრივ (ცხადია, ნორჩ) გულშემატკივართა ტრადიციული “რეფერენდუმის” ადგილზე – სომხეთის სპორტკომიტეტის შენობის წინ გაკრულ მატჩის მაუწყებელ უზარმაზარ აფიშაზე. პროგნოზები პროგნოზებად, მაგრამ ორივე გუნდს მოულოდნელად კიდევ ერთი ზედმეტი საზრუნავი გაუჩნდა – შეხვედრის წინ ორი დღით ადრე ერევანში, წლის ამ დროისთვის მეტად უჩვეულოდ, თოვლი მოვიდა (თამაშის დროს თერმომეტრი მხოლოდ 2 გრადუს სითბოს აჩვენებდა). ამიტომ “რაზდანის” სტადიონის მუშაკებს მინდვრის საგანგებო საფარით გადახურვა მოუხდათ.

ერევნელმა ფეხბურთელებმა პირველივე წუთიდან შესთავაზეს დინამოელებს მაღლტემპიანი ბრძოლა. მასპინძლები ბევრს მოძრაობდნენ – სწრაფად იცვლიდნენ ადგილებს, დროულად გადიოდნენ ბურთზე, ამასთან მთელს მოედანზე მჭიდროდ ჰყავდათ აყვანილი დინამოელები. პრესინგის ტაქტიკას თბილისელებმა ბურთის, ასე ვთქვათ, ნაღდი დამუშვება, აკადემიური თამაში დაუპირისპირეს, რასაც კონტრიერიშები მოსდევდა.

– “არარატმა” ამ შეხვედრაში ცოცხალი, კოლექტიური, გააზრებული თამაში აჩვენა და საერთოდ დიდი სწრაფვა გამოიჩინა გამარჯვებისადმი, – გვითხრა მატჩის კომისარმა, სპორტის ოსტატმა ვიაჩესლავ სოლოვიოვმა. – რაც შეეხება დინამოელებს, თქვენი გუნდი უფრო დახვეწილად, დინჯად თამაშობდა, კარის აღების ნაღდ შემთხვევას ეძებდა. და ეს შემთხვევაც გუნდს მსაჯის საფინალო სასტვენის წინ მიეცა ყიფიანის უძლიერესი დარტყმის შედეგად.

მაგრამ ეს 89–ე წუთზე იყო, მანამდე კი…

გაშლილი ფრონტით უტევდნენ თბილისელთა კარს “არარატის” თავდამსხმელები – ღასაბოღლიანი, გალსტიანი, რომლებსაც მეორე ხაზიდან განუწყვეტლივ ამარაგებდა ბურთებით ყველგანმყოფი ჰოვანესიანი. პირველი სახიფათო მომენტი ჩვენს კართან არარატელებმა 23–ე წუთზე შექმნეს, როდესაც ღასაბორლიანმა კუთხურიდან ისე ოსტატურად ჩაახვია ბურთი მოპირდაპირე კართან, რომ გაბელიამ გაჭირვებით აიღო იგი. არ გასულა წუთიც და მელიქიანმა მოვსესიანთან ერთად ზუსტი კომბინაცია გაითამაშა და ღასაბოღლიანმა თავური დარტყმით ოდნავ ააცილა ბურთი მიზანს. ერევნელებმა აშკარად დაიმორჩილეს შუა მინდორი და ტალღისებურად ზედიზედ მიჰქონდათ იერიში დინამოელთა კარზე.

28–ე წუთზე კოსტავამ და დარასელიამ კუთხურის ფასად აართვეს ბურთი ღასაბორლიანს. სწორედ ეს კუთხური აღმოჩნდა მასპინძელთათვის შედეგიანი – პარტნიორების მიერ გათამაშებული ბურთი მიუგორდა პოღოსიანს, რომელმაც 16 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. ორი წუთის შემდეგ ცენტრალურმა მცველმა ქეროფიანმა “გააკეთა” კუთხური ჩვენს კართან. ტაიმის “ღირსშესანიშნაობანი” კოპალეიშვილის დარტყმით დამთავრდა, რომლის შესახებ უკვე მოგახსენეთ.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა ერთობ გააააქტიურეს თამაში: ჯერ დარასელიას მიერ დარტყმული ბურთი მოიგერია მეკარემ, მერე სულაქველიძის დარტყმა აცდა მიზანს, ბოლოს ყიფიანმა და შენგელიამ საჯარიმოში მასპინძელთა მცველებს შორის, როგორც მოჭადრაკეები იტყვიან, ვერ იპოვეს საინტერესო გაგრძელება.

კვლავ მწვავედ შეუტიეს ერევნელებმა – ჰოვანესინამა, გალსტიანმა უზუსტოდ გაგზავნეს ბურთები ჩვენი კარისკენ, ვართაზარიანისა და მელიქიანის სწრაფი გარღვევები კი გაბედულად უვნებელჰყო გაბელიამ.

…თამაშის დრო იწურებოდა. დინამოელები წაგების წინაშე იდგნენ, მაგრამ ხომ რჩებოდა ერთი წუთი…

ო. ნოზაძე.
“ლელო”, 19 აპრილი, 1980 წ.